



იურიდიული დახმარების კლინიკა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტში შეიქმნა იურიდიული დახმარების კლინიკა, რომლის მიზანია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის იურიდიული მომსახურება.

კლინიკაში იურიდიული მომსახურება უფასოა და მოიცავს:

- იურიდიულ კონსულტაციას;
- სამართლებრივი დოკუმენტების მომზადებას;
- განსაკუთრებულ შემთხვევებში წარმომადგენლობას ადმინისტრაციულ ორგანოებში და სასამართლოში.

კლინიკის საქმიანობის ფორმები

- სატელეფონო კონსულტაცია;
- პირადი კონსულტაცია;
- გასვლითი იურიდიული კონსულტაცია (რეგიონებში);
- [ონლაინ კონსულტაცია](#).

თბილისი 0171
 26 მაისის მოედანი 2, V სართული
 ტელ: (995 32) 94 16 05
 ფაქსი: (995 32) 33 04 17
 ელ-ფოსტა: legalclinic@civilin.org
 ვებ-გვერდი: www.civilin.org

ყოველთვიურ ელექტრონულ გამოცემას ამზადებს სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი
 თბილისი 0171
 26 მაისის მოედანი 2,
 V სართული
 ტელ: (995 32) 94 16 05
 ფაქსი: (995 32) 33 04 17
 ვებ-გვერდი www.civilin.org

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესებაზე მუშაობს

პროექტის ფარგლებში ინსტიტუტი აშუქებს ამ სფეროში მომუშავე საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობებს, ღონისძიებებს.

ერთობა „ქედელის“ პრეზენტაცია



3 მაისს ერთობა „ქედელის“ პრეზენტაცია გაიმართა. საცხოვრებელი ერთობა „ქედელი“ არასამთავრობო ორგანიზაცია „სიღნაღის რეგიონის სოციალურად უმწეოთა თერაპიის კავშირის“ სტრუქტურული ერთეულია. ორგანიზაცია 2000 წელს დაფუძნდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ზრდასრულ პირთა ინტეგრაციის და მათთვის სოფლის ტიპის დასახლების შექმნის მიზნით.

(გაგრძელება მე-2 გვ.)

ერთობა „ქედელის“ პრეზენტაცია (გაგრძელება)

ორგანიზაცია 2003 წლამდე მოსამზადებელ სამუშაოს ეწეოდა – შეისყიდა ძველი სახლები საკარმიდამო მიწის ნაკვეთით, 2003 წლიდან დაიწყო ბენეფიციარების საცხოვრებელ სახლში დასახლება.

დღეს ამ სახლში ცხოვრობს 10 ზრდასრული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი. ერთობა „ქედელის“ წევრები სოფლის მეურნეობასა და მეზაღობა-მეზოსტნეობას, ხელოსნურ შრომას – ქსოვას, ქარგვას მისდევენ, ამავე დროს გადაიან მხატვრული თერაპიას – მუსიკას, ხატვას, დრამას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ მეგობარი ორგანიზაციების – სოციალური თერაპიის სახლის, ფონდ „პირველი ნაბიჯის“, თემი „გრემის“, თბილისის სამკურნალო-პედაგოგიური სკოლის წარმომადგენლები. ასევე ესწრებოდნენ „ქედელის“ სტუმრები ბელგიიდან, გერმანიიდან. ერთობა „ქედელმა“ პრეზენტაციაზე პირველი ლედი სანდრა რულოვსი მიიწვია. სტუმრებმა გულთბილად მიმართეს ერთობა „ქედელის“ წევრებს.



პრეზენტაციაზე „ქედელის“ წევრებმა სტუმრებს ზღაპარი „უბედური პრინცესა“ წარუდგინეს. პრეზენტაციის დასასრულს კი „ქედელის“ მუშაკთა ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო.

ბავშვთა ღიმილი

აპრილის ბოლოს თურქეთის ქალაქ სტამბულში გაიმართა ბავშვთა საერთაშორისო ფესტივალი „ბავშვთა ღიმილი“.



ფესტივალის მიზანი იყო სხვადასხვა ქვეყნიდან ჩასული ბავშვების თანამონაწილეობა და არა გამარჯვება. ფესტივალში მონაწილეობდნენ 40 ქვეყნიდან წარგზავნილი ბავშვები, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვები. თითოეულმა მათგანმა მიიღო საპატიო სიგელი და სამახსოვრო სურათი.



საქართველოდან მონაწილეობას იღებდა ასოციაცია „ანიკას“ წევრი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვთა ჯგუფი – „ოცნების დასაწყისი“. ჯგუფის წევრებმა შეასრულეს ქართული ხალხური და საესტრადო სიმღერები. ბევრი თანატოლი გაიცნეს და შეიძინეს ახალი მეგობრები.

www.civilin.org/welfare

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში ამოქმედდა პროექტის ვებ-გვერდი

www.civilin.org/welfare



ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია პროექტის ცალკეული კომპონენტების განვითარების შესახებ. ვებ-გვერდი ინფორმაციას აწვდის პროექტის ძირითად ბენეფიციარებს – სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს – ქვეყანაში მიმდინარე დეინსტიტუციონალიზაციის პროცესის შესახებ, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის არსებული პრეცედენტების შესახებ, საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებების შესახებ საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და ხელისუფლებას შორის თანამშრომლობის კუთხით.

ვებ-გვერდზე განთავსებულია სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების დირექტორია, სადაც ამ საზოგადოებრივი ორგანიზაციების პროფაილები განთავსდება. თუ რომელიმე ორგანიზაცია ვერ მოხვდა მონაცემთა ბაზაში, მას შესაძლებლობა ეძლევა დაამატოს ინფორმაცია.

ვებ-გვერდზე განთავსებულია კანონები და საკანონმდებლო ინიციატივები, რომლებიც გავლენას ახდენენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაზე. ორგანიზაციებს ეძლევათ ონლაინ იურიდიული დახმარების/კონსულტაციის მიღების შესაძლებლობა.

ვებ-გვერდზე ასევე განთავსდება ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომლებსაც აწარმოებენ სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციები, ასევე, მათი პუბლიკაციები, კვლევები.

თქვენ ყოველთვის უნდა ეცნობით სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, ელექტრონულ საინფორმაციო ბიულეტენს.

ბიულეტენი თქვენთვის იქმნება და თქვენს სამსახურშია, მოგვწერეთ თქვენი წინადადებები. ელ-ფოსტა: welfare@civilin.org

ბიულეტენის ერთ-ერთი მთავარი თემა თქვენი საქმიანობა და ღონისძიებებია. მოგვწერეთ, მოგვაწოდეთ ინფორმაცია ღონისძიებების შესახებ, ჩვენ კი ვთავაზობთ: ღონისძიების ანონსის გავრცელებას ელექტრონული ფოსტით, ღონისძიებების გაშუქებას საინფორმაციო ელექტრონული ბიულეტენის საშუალებით.

მოგვაწოდეთ ინფორმაცია თქვენი გამოცემების შესახებ და ჩვენ განვათავსებთ მათ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare/>

მოგვაწოდეთ ინფორმაცია იმ პროდუქციის შესახებ, რომელსაც აწარმოებთ სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან არსებულ სახელოსნოებში (ფოტოებთან ერთად), მათ განვათავსებთ პროექტის ვებ-გვერდზე: <http://www.civilin.org/welfare/>

ნუ გაუშვებთ შესაძლებლობას გაეცნოთ და გაგიცნონ

სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების ორგანიზაციული განვითარების კვლევა

სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტმა, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში, 2007 წლის მარტი-აპრილში ჩაატარა კვლევა. კვლევის მიზანი იყო საქართველოში მოქმედი სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის შესწავლა, მათი შესაძლებლობის, განვითარების პერსპექტივის შეფასება.

კვლევამ მოიცვა საქართველოში მოქმედი ყველა საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც სოციალური ზრუნვის სფეროში მოღვაწეობს. მოქმედი 101 საზოგადოებრივი ორგანიზაციის გამოკითხვის შედეგები იძლევა ინფორმაციას ზრუნვაზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის, მომსახურების, ინსტიტუციონალური განვითარების დონის, შესაძლებლობის, სამიზნე ჯგუფებისა და ქვეყნის ტერიტორიაზე მათი გეოგრაფიული განფენილობის შესახებ.

მასალა სასარგებლოა დეინსტიტუციონალიზაციის (დეინსტიტუციონალიზაციის პროცესი 2005 წელს დაიწყო) პროცესის განმახორციელებელი სახელმწიფო სტრუქტურებისთვის, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მოქმედი დონორი ორგანიზაციებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის.


გამოკითხულთა შორის გამოიყო სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციების სამი ტიპი:

1. მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციები, რომლებიც მხოლოდ ზრუნვაზე ორიენტირებულ პროექტებს ახორციელებენ, ჰყავთ გამოკვეთილი სამიზნე ჯგუფები (შშმმ და სოციალურად დაუცველი ფენები);
2. შერეული საქმიანობის მქონე ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ როგორც სოციალურ, ისე სხვა ტიპის პროექტებს;
3. სოციალური და ჯანდაცვის სფეროს ხელშემწყობი ორგანიზაციები, რომლებიც ფინანსური და ინფორმაციული რესურსებით ეხმარებიან ზრუნვაზე

ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებს.

კვლევის საბოლოო შედეგები და მათი გაცნობა დაინტერესებულ პირებს ივნისის ბოლოს შეეძლება.

სოციალურ ზრუნვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების გეოგრაფიული განფენილობა



- თბილისი
- აჭარა
- შიდა ქართლი
- იმერეთი
- სამცხე-ჯავახეთი
- გურია
- კახეთი
- ქვემო ქართლი
- სამეგრელო

საკონკურსო განაცხადი

ქალაქ თბილისის მერია აცხადებს ტენდერს ინვალიდი და სოციალურად დაუცველი ბავშვების საკურორტო-სამკურნალო რეაბილიტაციის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

მომსახურება გულისხმობს ინვალიდი და სოციალურად დაუცველი ბავშვების საქართველოს ზღვისა და მთის კურორტებზე დასვენებისათვის საჭირო სასტუმროს მომსახურებას, სამჯერად კვებას, საჭიროების შემთხვევაში სამედიცინო დახმარებას, ბავშვების გადაადგილებას ქ. თბილისიდან კურორტამდე და მათ უკან - ქ. თბილისში დაბრუნებას.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 17 მაისი, 2007

პრესის მონიტორინგი




სოციალურ სფეროზე ორიენტირებული საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი მუშაობს პრესაში გამოქვეყნებული სოციალური თემების მონიტორინგზე. ვაკვირდებით სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე და მათ ბენეფიციარებზე გასულ პუბლიკაციებს.

ამისთვის შევარჩიეთ ყოველდღიური და რეიტინგული გამოცემები – „რეზონანსი“, „ბასტა“, „მთელი კვირა“, „24 საათი“, „კვირის პალიტრა“, „ალია“, „ქრონიკა“, „ჯორჯიან თაიმსი“, „ახალი ვერსია“, „ახალი თაობა“, „ცხელი შოკოლადი“, „სარკე“, „თბილისელები“.

პრესის აქტივობა

აპრილის თვის განმავლობაში პრესაში გამოქვეყნდა 23 პუბლიკაცია.



- რეზონანსი (ბასტა)
- ახალი თაობა
- ალია (ქრონიკა)
- 24 საათი
- ახალი ვერსია
- სარკე


თემატური აქტივობა

პრესაში გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ქველმოქმედებას მიეძღვნა 5 სტატია, უშუალოდ

ორგანიზაციის პრობლემებზე და ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ 4 სტატია დაიბეჭდა, სხვადასხვა სოციალურ პროგრამებს 2 სტატია მიეძღვნა, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე 4 პუბლიკაცია, მართოხელა მოხუცებზე 1 პუბლიკაცია, ქუჩაში მყოფ ბავშვებზე 2 პუბლიკაცია დაიბეჭდა, 3 პუბლიკაცია მიეძღვნა კონკრეტულ ისტორიას.

ტერმინები

პრესაში გამოქვეყნებული ტერმინები



- ქუჩის ბავშვები
- უსინათლო
- ყრუ-მუნჯი
- უნარშეზღუდული
- შეზღუდული შესაძლებლობის მქონე
- ინვალიდი
- უპატრონო ინვალიდი მოხუცები
- მზრუნველობამკოლებული

საკონკურსო განაცხადი

შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდის პროექტების სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭო აცხადებს, რომ შიდსთან, ტუბერკულოზსა და მალარიასთან ბრძოლის გლობალურმა ფონდმა გამოაცხადა განაცხადთა მიღების მე-7 რაუნდი, ვინაიდანაც საქართველოდან მე-7 რაუნდში წარდგენილ იქნება მხოლოდ შიდსის განაცხადი, საბჭო მოუწოდებს შიდსის პრობლემებზე მომუშავე სამთავრობო, არასამთავრობო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს სახელმწიფო საკოორდინაციო საბჭოში განსახილველად შესაბამისი პროექტების წარმოდგენისაკენ.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“. 22 მაისი, 2007

**სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი, სოციალურ სფეროზე ორიენტირებული
საზოგადოებრივი ორგანიზაციებისთვის საარსებო გარემოს გაუმჯობესების პროექტის ფარგლებში,
სწავლობს ხელისუფლებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების თანამშრომლობის
საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკას. ამჯერად გათავაზობთ**

უნგრეთის გამოცდილებას

უკანასკნელი 6-7 წლის განმავლობაში, უნგრეთი აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის ქვეყნებს შორის ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოდ მოიაზრება საჯარო და არასამთავრობო სექტორის თანამშრომლობის კუთხით. თანამშრომლობის კანონმდებლობით უზრუნველყოფილი მექანიზმები რეგიონის სხვა სახელმწიფოებთან შედარებით მნიშვნელოვნად განვითარებულია. უნგრეთში მოქმედებს „უნგრეთის მთავრობის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგია“. კანონი „საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესახებ“, კანონი „სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის შესახებ“, ასევე, კანონი გადასახადის გადამხდელთა სამშრომლო გადასახადის 1%-ის დისტრიბუციის შესახებ. წინამდებარე მოკლედ განიხილავს ამ ინსტრუმენტებს.

საწყის ეტაპზე სახელმწიფო პოლიტიკა არასამთავრობო ორგანიზაციებთან მიმართებაში მიმართული იყო სტრუქტურული პრობლემების მოგვარებისკენ - არასამთავრობო ორგანიზაციების ორგანიზაციული ფორმების რეგულირებისკენ/კოდიფიცირებისკენ. მოგვიანებით, საჯარო პოლიტიკის მიმართულება შეიცვალა, საჯარო სექტორში გამოიკვეთა ხელისუფლების და არასამთავრობო ორგანიზაციების ურთიერთთანამშრომლობის მექანიზმების განსაზღვრის, არასამთავრობო ორგანიზაციების როლის განსაზღვრის, არასამთავრობო ორგანიზაციების ფინანსური დამოუკიდებლობის უზრუნველყოფის საჭიროება. მითითებული კანონები სახელმწიფო სექტორის ინიციატივით იქნა მიღებული.

უნგრეთში 1998 წელს დაარსდა სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის ცენტრალური კომიტეტი. კომიტეტი მთავრობის თანაბარი შესაძლებლობების ოფისთან არსებობს. კომიტეტის დაარსების ძირითადი საფუძველი იყო ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის მაკავშირებელი ცენტრალური ორგანოს არსებობის

საჭიროება. კომიტეტს ერთმანეთთან უნდა დაეკავშირებინა ხელისუფლება და არასამთავრობო სექტორი, შეემუშავებინა ეფექტური მექანიზმები ორი სექტორის თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად. კომიტეტის ფუნქციები მოიცავს არასამთავრობო ორგანიზაციების სამართლებრივი გარემოს გაუმჯობესებას, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად სექტორთან დაკავშირებული კანონპროექტების მომზადებას, ზოგადად სექტორის განვითარების მიმართულებით მუშაობას.

კომიტეტმა შეიმუშავა უნგრეთის მთავრობის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგია. სტრატეგია ანალოგია დიდი ბრიტანეთის სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობის კომპაქტის. დოკუმენტით ხელისუფლება განსაზღვრავს სამოქალაქო საზოგადოების როლს, ექსპლიციტურად უსვამს ხაზს არასამთავრობო ორგანიზაციების როლს სახელმწიფოსთვის მომსახურების მიწოდების სფეროში, მიუთითებს საჯარო სექტორის მიერ არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსების ზრდის აუცილებლობაზე, არასამთავრობო ორგანიზაციების ერთიანი ბაზის არსებობის საჭიროებაზე, საჯარო ერთეულის დაარსებაზე, რომელიც ეფექტურ კავშირს დაამყარებს ხელისუფლებას და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის, უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციების დამოუკიდებლობას, ამავე დროს უზრუნველყოფს არასამთავრობო ორგანიზაციებს ფინანსური რესურსით. უნგრეთის მთავრობის არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის სტრატეგია განმარტავს, რომ არასამთავრობო სექტორის დამოუკიდებლობის, ამგვარი ორგანიზაციების სახელმწიფო დაფინანსების პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსთვის მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება ევროკავშირის მნიშვნელოვანი მოთხოვნებია. მთავრობის სურვილია მოახდინოს ამ ნორმების და პრინციპების ინკორპორაცია შიდა კანონმდებლობაში. ამ მიზნით, მთავრობა მზად არის ითანამშრომლოს არასამთავრობო სექტორთან.

(გაგრძელება მე-7 გვ.)

უნგრეთის გამოცდილება

(გაგრძელება)

სტრატეგია ადგენს შესაბამის ნაწილში: „უნგრეთის მთავრობა მზად არის – არასამთავრობო სექტორის ნეიტრალიტეტის პრინციპის დაცვით – ხელი შეუწყოს არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოსთვის მომსახურების მიწოდების ზრდას, სოციალური მომსახურების, განათლების, კულტურის, გარემოს დაცვის და სხვა სფეროებში ფუნქციების დანაწილებას სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორს შორის“.

სტრატეგია ხაზს უსვამს, რომ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ მომსახურების სახელმწიფოსთვის მიწოდების თანმდევია შესაბამისი ფინანსური უზრუნველყოფა. შესაბამისად, სტრატეგია მიუთითებს, რომ უნგრეთის მთავრობა მზად არის შეიმუშავოს არასამთავრობო სექტორის ფინანსური უზრუნველყოფისთვის აუცილებელი მექანიზმები. ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში მითითებულია, რომ უნგრეთის მთავრობა მნიშვნელოვნად გაზრდის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ხელმისაწვდომი ფინანსური რესურსის ოდენობას. სამთავრობო დაფინანსების წყარო, სტრატეგიის მიხედვით, არასამთავრობო ორგანიზაციების სრული ფინანსური რესურსის 40%-ს უნდა შეადგენდეს. აქვე, ფინანსური უზრუნველყოფის ნაწილში, განიხილება სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის დაარსების აუცილებლობის საკითხი, როგორც არასამთავრობო სექტორის ფინანსური უზრუნველყოფის მექანიზმი. სტრატეგიით, სახელმწიფო ვალდებულია იღებს შეიმუშავოს კანონპროექტი სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის შექმნის მიზნით. შესაბამის ნაწილში, სახელმწიფო ადასტურებს იმ ორგანიზაციების მნიშვნელობას, რომლებიც ადგილობრივ დონეზე ფუნქციონირებენ და მოსახლეობის მცირე ნაწილს ემსახურებიან. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები უკეთ იცნობენ ადგილობრივ მახასიათებლებს, საჭიროებებს, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნებს, ზოგადად, ადგილობრივ სპეციფიკას. შესაბამისად, ამ ორგანიზაციების გაძლიერება, მათ მიერ ადგილობრივი მოსახლეობისთვის მომსახურების მიწოდების უზრუნველყოფა პრიორიტეტად არის მიჩნეული. ამგვარად, სტრატეგია მიუთითებს, რომ სახელმწიფო

უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის რესურსის მისაწვდომობას რეგიონული ორგანიზაციებისთვის.

სტრატეგიიდან გამომდინარე, უნგრეთის მთავრობამ, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად მოამზადა კანონპროექტი სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის შესახებ. კანონი პარლამენტმა 2003 წელს მიიღო. კანონის პრეამბულა ადგენს, რომ კანონის მიზანია სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერება, არასამთავრობო და საჯარო სექტორს შორის თანამშრომლობის გამყარება და ამ ორ სექტორს შორის ფუნქციების გადანაწილების ხელშეწყობა სახელმწიფოს ფუნქციების (ცენტრალურ და ადგილობრივ დონეებზე) ეფექტური განხორციელების მიზნით.

კანონით არსდება სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდი. ფონდის მიზანია სამოქალაქო საზოგადოებისთვის ფინანსური რესურსის გადაცემის პროცესის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, არასამთავრობო სექტორის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, არასამთავრობო ორგანიზაციების როლის გაზრდა სახელმწიფოს განვითარების პროცესში. ფონდის ძირითადი ფუნქციაა სამოქალაქო საზოგადოების მდგრადი განვითარების ხელშეწყობა გრანტების გაცემის გზით. ფონდის ფინანსური რესურსის 60% საოპერაციო ხარჯების დაფარვას ხმარდება საგრანტო მექანიზმის გზით. 40% სხვადასხვა საპროექტო წინადადებების დაფინანსებას.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

საკონკურსო განაცხადი

საქართველოს სოციალური და ზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ფთიზიატრიულ დახმარების კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 მაისი, 2007

უნგრეთის გამოცდილება

(გაგრძელება)

ფონდის სახსრების საფუძველი 1996 წლიდან მოქმედი სქემის დანამატია. კანონი გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის 1%-ის დისტრიბუციის შესახებ პარლამენტმა 1996 წელს მიიღო. კანონის მიხედვით, მოქალაქე უფლებამოსილია მიუთითოს ის ორგანიზაცია, რომელსაც უნდა გადაეცეს ამ მოქალაქის საშემოსავლო გადასახადიდან 1%. ფონდის ჩამოყალიბებამდე, თუკი გადასახადის გადამხდელი არ განსაზღვრავდა კონკრეტულ ბენეფიციარ ორგანიზაციას, 1%-ის დისტრიბუცია არ ხდებოდა. ამგვარად, ფონდის დაფინანსების წყაროდ, სხვა რესურსთან ერთად, გადასახადის გადამხდელთა საშემოსავლო გადასახადის 1%-ის ის ნაწილი განისაზღვრა, რომლის ბენეფიციარის განსაზღვრას გადასახადის გადამხდელი არ ახდენდა. ამასთან, კანონში ჩაიდო დაცვითი ნორმა, რომლის მიხედვით ფონდისთვის გადასაცემი ფინანსური რესურსი არ უნდა იყოს სრული საშემოსავლო გადასახადის 0,5%-ზე ნაკლები.

ფონდის სტრუქტურა (თეორიულ დონეზე მაინც) ხელსაყრელია. სტრუქტურის შედეგად ფონდი ჰიბრიდულ ორგანოს ქმნის, რომლის შემადგენლობა აერთიანებს საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს. დეტალურად, ფონდის უმაღლესი ორგანოა საბჭო, რომელიც ფონდის სტრატეგიას, ფინანსური რესურსის გადანაწილების პრიორიტეტულ სფეროებს განსაზღვრავს. საბჭოს შემადგენლობაში 17 წევრია. 5 წევრი საჯარო სექტორს წარმოადგენს. 12 არასამთავრობო ორგანიზაციებს – აქედან 5 სხვადასხვა სფეროზე, მათ შორის სოციალურ სფეროზე ორიენტირებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, 7 რეგიონულ არასამთავრობო ორგანიზაციებს.

ამგვარი სტრუქტურა თუ არ უზრუნველყოფს, ხელსაყრელ პირობებს მაინც ქმნის კანონის მთავარი მიზნის რეალიზაციისთვის. ერთის მხრივ, დაცულია რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციების ინტერესები, სტრატეგიის შესაბამისად („უნგრეთის მთავრობა ვალდებულია იღებს უზრუნველყოფის სამოქალაქო საზოგადოების სახელმწიფო ფონდის რესურსის მისაწვდომობა რეგიონული ორგანიზაციებისთვის“). მეორეს მხრივ, დაცულია ბალანსი სხვადასხვა სფეროზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის.

ბოლოს, დაცულია ბალანსი საჯარო და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლობის კუთხით, რაც კანონის მთავარ მიზანს, სახელმწიფოს ფინანსური რესურსის არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გადაცემის პროცესის გამჭვირვალობას უზრუნველყოფს. უნგრეთში, 1997 წლიდან მოქმედებს კანონი საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე. კანონი არასამთავრობო ორგანიზაციების ქვეკატეგორიას – ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობას. ამგვარი სტატუსის მოპოვებისთვის სავალდებულოა ორგანიზაციის საქმიანობა ხვდებოდეს კანონით გათვალისწინებული საქმიანობის ჩამონათვალში. საზოგადოებრივ ორგანიზაციად არის მიჩნეული სოციალურ სფეროზე ორიენტირებული ორგანიზაცია.

(გაგრძელება მე-8 გვ.)

საკონკურსო განაცხადი

1. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ჰემოფილიით დაავადებულ ბავშვთა და მოზრდილთა მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 მაისი, 2007

2. საქართველოს სოციალური დაზღვევის ერთიანი სახელმწიფო ფონდი აცხადებს ორეტაპიან ტენდერს მოსახლეობის სტაციონარული დახმარების 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ონკოლოგიურ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მკურნალობის კომპონენტის მიხედვით სამედიცინო მომსახურების შესყიდვის მიზნით და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად დაინტერესებულ პირებს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 21 მაისი, 2007

უნგრეთის გამოცდილება

(გაგრძელება)

კანონით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელებაზე არის მიზნული გადასახადის გადამხდელის საშემოსავლო გადასახადიდან 1%-ის მიღების უფლებაც (თუმცა არა სტატუსზე, არამედ საქმიანობის დე-ფაქტო განხორციელებაზე). მნიშვნელოვანი ის არის, რომ კანონი ქმნის ქვეკატეგორიას საზოგადოებრივი ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ორგანიზაციების ფართო კატეგორიაში: ორგანიზაციები, რომლებიც ახორციელებენ სახელმწიფო ფუნქციებს. ამგვარ ფუნქციად მოიაზრება მოსახლეობისთვის სოციალური მომსახურების მიწოდება. ამ ვიწრო ქვეკატეგორიაში მოხვედრის შემთხვევაში, არასამთავრობო ორგანიზაციას უფრო მეტი საგადასახადო შეღავათი ენიჭება. ამასთან, მნიშვნელოვანია კანონის დებულება, რომელიც ადგენს, რომ სახელმწიფო ორგანოები უფლებამოსილი არიან დაადგინონ ამგვარი ორგანიზაციებისგან მომსახურების შესყიდვის განსაკუთრებული წესები.

საქართველოში პარლამენტში განსახილველად შესული კანონპროექტები და განმარტებითი ბარათები იხილეთ
სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტის ვებ-გვერდზე: www.civilin.org.ge

საკონკურსო სიახლეები

1. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური სამინისტრო „ჯანმრთელობის დაცვის სფეროს ინსტიტუციური და ფუნქციური განვითარების ხელშეწყობის 2007 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში აცხადებს ორტაპიან ტენდერს ჯანმრთელობის დაცვის საჭიროებათა განსაზღვრისათვის კვლევის ჩატარების მიზნით ინტელექტუალური მომსახურების შესყიდვაზე და იწვევს ტენდერში მონაწილეობის მისაღებად ყველა დაინტერესებულ პირს.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 25 მაისი, 2007

2. სტაჟირებები აშშ-ში. იწყება ქართველი პროფესიონალების შერჩევა საზოგადოებრივი კავშირების 2007 წლის პროგრამისთვის.

2007 წელს საზოგადოებრივი კავშირების, პროფესიული პროგრამის ფარგლებში შეირჩევა შემდეგი პროფესიული ჯგუფები, რომლებიც სტაჟირებას აშშ-ში 2007 წლის ოქტომბერ-ნოემბერში გაივლიან:

ნარკომანიის პრევენცია;

ჯანდაცვის პროფესიული ასოციაციები;

გარემო და ჯანმრთელობა;

ღვინის ტურიზმი;

საგამოძიებო ჟურნალისტიკა.

დამატებითი ინფორმაცია – გაზეთი „24 საათი“, 25 მაისი, 2007